

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	20
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
7. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	24
8. სხვა აქტივები	24
9. საგადასახადო აქტივი	24
10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	25
11. არამატერიალური აქტივები	27
12. იჯარები	28
13. საწესდებო კაპიტალი	29
14. აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	29
15. სხვა ვალდებულებები	30
16. ამონაგები	31
17. პერსონალის ხარჯები	31
18. სხვა ხარჯები	31
19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	31
20. კაპიტალის მართვა	32
21. პოტენციური ვალდებულებები	32
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი კაპიტალის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მარტი, 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი კაპიტალის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფსას) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევიწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მარტი, 2025 წელი

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	7,678,354	6,736,144
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	7	5,152,301	3,105,320
სხვა აქტივები	8	944,479	3,599,302
საგადასახადო აქტივი	9	3,523	51,197
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	1,038,823	1,017,639
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	11	241,401	-
არამატერიალური აქტივები	11	811,902	910,823
აქტივის გამოყენების უფლება	12	165,836	205,783
სულ აქტივები		16,036,619	15,626,208
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,838,295	1,838,295
გაუნაწილებელი მოგება		11,918,117	9,847,221
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	14	83,736	343,814
სულ კაპიტალი		13,840,148	12,029,330
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	179,997	208,921
სხვა ვალდებულებები	15	2,016,474	3,387,957
სულ ვალდებულებები		2,196,471	3,596,878
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,036,619	15,626,208

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 31 მარტს შემდეგი პირის მიერ:

მმართველი დირექტორი

 **ოთარ შარიკაძე**

მთავარი ბუღალტერი

 **ნინო ედიშერაშვილი**

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	7,678,354	6,736,144
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	7	5,152,301	3,105,320
სხვა აქტივები	8	944,479	3,599,302
საგადასახადო აქტივი	9	3,523	51,197
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	1,038,823	1,017,639
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	11	241,401	-
არამატერიალური აქტივები	11	811,902	910,823
აქტივის გამოყენების უფლება	12	165,836	205,783
სულ აქტივები		16,036,619	15,626,208
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,838,295	1,838,295
გაუნაწილებელი მოგება		11,918,117	9,847,221
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	14	83,736	343,814
სულ კაპიტალი		13,840,148	12,029,330
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	179,997	208,921
სხვა ვალდებულებები	15	2,016,474	3,387,957
სულ ვალდებულებები		2,196,471	3,596,878
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,036,619	15,626,208

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 31 მარტს შემდეგი პირის მიერ:

მმართველი დირექტორი _____ ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი _____ ნინო ედიშერაშვილი

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	16	12,544,057	11,954,496
პერსონალის ხარჯები	17	(5,210,278)	(4,812,338)
ცვეთა და ამორტიზაცია		(151,329)	(158,117)
პლატფორმისა და საინფორმაციო ბაზების სარგებლობის ხარჯი*		(3,544,698)	(1,954,684)
სხვა ხარჯები*	18	(3,406,958)	(2,075,581)
საოპერაციო მოგება		230,794	2,953,776
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა საკუთრო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა		1,697,643	644,985
ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებიდან		129,593	(24,789)
მეკავშირე საწარმოების გაუფასურება და მოგების (ზარალის) წილი	10	(8,318)	(30,889)
		21,184	(150,823)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,070,896	3,392,260

*წინა წლის რეკლასიფიკაცია - დეტალებისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	2,070,896	3,392,260
კორექტირებები:		
ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	8,318	30,889
მეკავშირე საწარმოების გაუფასურება და (მოგების) ზარალის წილი	(21,184)	150,823
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	12,126	343,814
ცვეთა და ამორტიზაცია	151,329	158,117
ფინანსური შემოსავალი	(1,725,668)	(651,119)
ფინანსური ხარჯი	28,025	6,134
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	125,169	-
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი (მოგება) ზარალი	(129,593)	24,789
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე	519,418	3,455,707
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
საგადასახადო აქტივების შემცირება (ზრდა)	47,674	(30,082)
სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)	1,139,411	(1,336,188)
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(1,371,483)	886,776
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადსა და პროცენტებამდე	335,020	2,976,213
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან და მოკლევადიანი დეპოზიტიდან	1,130,991	545,799
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა	(28,025)	(6,134)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,437,986	3,515,878
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(135,070)	(175,564)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსი	(241,401)	-
პროცენტის მიღება ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხებიდან	547,696	-
ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	(2,000,000)	(3,000,000)
სხვა ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული ფული (შესყიდვისთვის გადახდილი ფული)	1,487,320	(1,762,577)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის	(341,455)	(4,938,141)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა	(28,924)	(61,066)
აქციაზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	(272,204)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(100,000)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობისთვის	(301,128)	(161,066)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	795,403	(1,583,329)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6,736,144	8,184,914
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	146,807	134,559
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	7,678,354	6,736,144

9-34 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,938,295	-	6,454,961	8,393,256
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	3,392,260	3,392,260
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(100,000)	-	-	(100,000)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	-	343,814	-	343,814
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით	1,838,295	343,814	9,847,221	12,029,330
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	2,070,896	2,070,896
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	-	12,126	-	12,126
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე	-	(82,252)	-	(82,252)
აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი	-	-	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდის განაწილება მშობელი საწარმოსთვის	-	(189,952)	-	(189,952)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,838,295	83,736	11,918,117	13,840,148

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. თიბისი კაპიტალი წარმოადგენს ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სს „თიბისი ბანკი“. თიბისი კაპიტალის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციული ფინანსებისა და საკრედიტო სარეიტინგო საკონსულტაციო მომსახურებას, სესხისა და აქციების კაპიტალის ბაზრების, საბროკერო და კვლევით მიმართულებებს. თიბისი კაპიტალი, ასევე, არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ 21-ე განმარტებითი შენიშვნაში.

შპს „თიბისი კაპიტალის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა სს „თიბისი ბანკი“ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. ძირითადი მაკონტროლებელი მხარე გახლდათ საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია TBC Bank Group PLC, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 59 და 53 თანამშრომელი, შესაბამისად. კომპანიის მმართველი დირექტორია ოთარ შარიქაძე.

კომპანიის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #7.

2. მომზადების საფუძველები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფას-ების) შესაბამისად.

ფას-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სხვა ინვესტიციებისა, რომლის კლასიფიკაციაც არის ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით და კლიენტების მიმართ არსებული სხვა ვალდებულებებისა (იხილეთ ფინანსური ინსტრუმენტების სააღრიცხვო პოლიტიკა).

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი).

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსი არ არსებობს გრძელვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების განხორციელების შემდგომი განხილვისას, 2024 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში. ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ▶ ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ▶ ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ▶ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღრიცხავენ საწარმოები ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტას და როგორ ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიცირება. ცვლილებები საშუალებას აძლევს საწარმოს ვადაზე ადრე მიიღოს მხოლოდ ცვლილებები, რომლებიც ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შესაბამის ახსნა-განმარტებებს, ხოლო დანარჩენი ცვლილებები გაითვალისწინოს მოგვიანებით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ცვლილებები ადრეულ პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობა) დაკავშირებული ან მსგავსი მახასიათებლები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს, აგრეთვე სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობებს. მოცემული ცვლილებები თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს:

- ▶ ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);
- ▶ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის გადავადებული სხვაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით. (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი (ფასს 7-ის ცვლილებები);
- ▶ შესავალი და საკრედიტო რისკის გამჟღავნება (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ ტრანზაქციის ღირებულება (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ 'დე ფაქტო აგენტის' განსაზღვრა (ფასს 10-ში შესწორებები);
- ▶ დანახარჯეთოდი (ბასს 7-ში შესწორებები);

საბოლოო ცვლილებები გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში.

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). 2024 წლის 18 დეკემბერს IASB-მ გამოსცა ცვლილებები, რათა გაუმჯობესებინა ფინანსური აღრიცხვა კომპანიების მიერ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად სტრუქტურირებულია როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებები საწარმოებს ეხმარება უზრუნველყონ ელექტროენერგიის მიღება ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან. მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდეს, თუ როგორ აისახება ამ კონტრაქტების ეფექტი კომპანიის მუშაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული უკონტროლო ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, IASB-მ შეიტანა მიზანმიმართული ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში და ფასს 7 ფინანსურ ინსტრუმენტებში კერძოდ: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რათა გააუმჯობესოს ამ ხელშეკრულებების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

ეს ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის, შესწორებების გამოყენებამდე საჭიროა მათი დამტკიცება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება ცვლის ბასს 1-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას და სავალდებულოა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

► მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ. ფასს 18-ს შემოაქვს მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლისა და ხარჯის ერთეულების კლასიფიცირებისთვის ხუთი კატეგორიის მიხედვით. ეს კლასიფიკაცია იწვევს გარკვეული შუალედური ჯამების წარდგენას, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლისა და ხარჯის ყველა იმ ერთეულის ჯამი, რომლებიც მოიცავს ახალ სავალდებულო „საოპერაციო მოგება-ზარალს“ შუალედურ ჯამს.

► ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს, შესრულებული კორექტირებით (მაგ., „კორექტირებული მოგება ან ზარალი“). საწარმოებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში MPM-ების გამჟღავნება, მათ შორის MPM-ების რეკონსილაცია ფასს სტანდარტების შესაბამისად გამოთვლით ჯამებთან ან შუალედურ ჯამებთან.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია გააუმჯობესოს კომპანიების ანგარიშგებების შედარება და გამჭვირვალობა. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირე ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. დაინტერესებულმა მხარეებმა სთხოვეს IASB-ს, უფლება მისცეს შვილობილ კომპანიას, ანგარიშვალდებულებას დედა კომპანიის მიმართ, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, გამოიყენოს ფასს სტანდარტების შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის. ამ გამოხმაურების გათვალისწინებით, IASB-მ დაამატა პროექტი, რათა შეექმნა საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე შვილობილი კომპანიების გამჟღავნების გამარტივებული მოთხოვნები. პროექტი დასრულდა ფასს 19-ის გამოცემით, რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. მაგალითად, ფასს 19-ის მიხედვით, საწარმო, რომელსაც აქვს ოპერაციები ფასს 2-ის აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფარგლებში, არ გამოიყენებს ფასს 2.44-52-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ამის ნაცვლად, საწარმო გაამჟღავნებს მხოლოდ ფასს 19-ის 31-34 პარაგრაფებში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ღონისძიებების აღწერას, აქციების ოფციონების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასებს, როგორ ხდება მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების დროს და სხვა ზოგად ინფორმაციას ფასს 2-ის ფარგლებში ოპერაციების შესახებ. ფასს 2 ამჟამად შეიცავს 991 სიტყვას მის გამჟღავნების მოთხოვნებში, მაშინ როცა ფასს 19 შეიცავს მხოლოდ 250 სიტყვას, იმ ახსნა-განმარტებითი შენიშვნებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ფასს 2-ის განმარტებებს. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

► საწარმო არის შვილობილი კომპანია (როგორც განსაზღვრულია IFRS 10-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი ა-ში);

► საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და

► საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს. საწარმოს აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:

► მისი სასესხო ან კაპიტალის ინსტრუმენტები ივაჭრება საჯარო ბაზარზე ან ასეთი ინსტრუმენტების გამოშვების პროცესშია; ან

► იგი ფლობს ფართო ჯგუფის გარე პირებისთვის აქტივებს ფიდუციური (მართვის) უფლებამოსილებით, როგორც თავის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას;

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)“, წმინდა“ უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306	3.5349
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753	3.4228

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიოს ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით, ასევე საკომისიოს სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით აქციებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს ობლიგაციების გამოშვებასთან, შეძენასთან მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებას. მომსახურება მოიცავს ორ ძირითად ვალდებულებას: ობლიგაციების განთავსებას და აგენტის მომსახურებას.

ობლიგაციის განთავსებიდან კომპანია, ამონაგებს აღიარებს ობლიგაციების შემძენისათვის გადაცემის მომენტში.

აგენტის მომსახურება მოიცავს ობლიგაციის გამოშვებასთან, შეძენასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად, ობლიგაციის დაფარვამდე, ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში ობლიგაციის ვადის პროპორციულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები სხვა საბროკერო მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

ამონაგები ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე ვაჭრობიდან

კომპანია ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე, რის მიხედვითაც ახდენს ამ სავალო ფასიანი ქაღალდების ყიდვას და შემდგომ გადაყიდვას. ამონაგები აღიარდება ყიდვა/გადაყიდვის ფასს შორის სხვაობით, რომლის შედეგადაც აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ტრანზაქციის შესრულების დღეს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგები ობლიგაციებიდან წარმოადგენს ობლიგაციების განთავსების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს, თითოეული განთავსებიდან მიღებული ამონაგების დაანგარიშება ხდება აღნიშნული განაკვეთით. ობლიგაციის თანმდევი აგენტის მომსახურების წლიური ღირებულება ფიქსირებული თანხაა ყველა კლიენტისთვის.

საბროკერო პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტის და სავაჭრო ბირჟის მიხედვით, საკომისიო განაკვეთები ფიქსირებულია და იდენტურია ძირითადად ყველა კლიენტისთვის. დიდ კლიენტებთან ხდება ინდივიდუალური ტარიფების შეთანხმება ტრანზაქციის ზომიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

სავალო ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობისას განსაზღვრულია სავაჭრო ინსტრუმენტის ღირებულება წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მხარეებს შორის. შესაბამისად განსაზღვრულია ის ამონაგები, რასაც კომპანია იღებს ამ ტრანზაქციიდან.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულ ფასიანი. კონტრაქტში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ით განსაზღვრული შემდეგი გათავისუფლება: ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ვაჭრობის მიზნით გამოყენებული ინვესტიციები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, სხვა ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, სხვა ინვესტიციები დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა კლიენტების მიმართ არსებული სხვა ვალდებულებები დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა გრძელვადიან და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაშთვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების განაშთვა მაშინ ხდება, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშშორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, საბროკერო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებსა და მოთხოვნამდე, 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები აღირიცხება როგორც ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები.

აქციებზე დაფუძნებული გადახდები

2023 წლის იანვარში შპს „თიბისი კაპიტალმა“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ცვლადი ანაზღაურება შედგება შედგება აქციების სახით გაცემული წლიური პრემიებისგან („წლიური პრემია“). ცვლადი ანაზღაურება უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს (KPI-ები), რომლებიც, შეიძლება ყოველწლიურად შეიცვალოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს მისი გადახდა, როდესაც აკმაყოფილებს KPI-ებს.

წლიური პრემია გაიცემა TBC BANK GROUP PLC-ის აქციების სახით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წლიურ პრემიებს იღებს მთლიანად აქციების სახით და იგი არ მოიცავს ფულად კომპონენტს. აქციების რაოდენობა გამოითვლება ანაზღაურების კომიტეტის გადაწყვეტილების თარიღამდე ბოლო ათი დღის აქციის საშუალო ფასის მიხედვით. წლიური პრემიის შესრულების KPI-ები განისაზღვრება ყოველი წლის დასაწყისში.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წლიური პრემიების გაცემა ექვემდებარება ფლობის პერიოდს და უწყვეტ დასაქმებას 3 წლის განმავლობაში. წლიური პრემია ექვემდებარება ანაზღაურების შემცირების და გადახდილი თანხის უკან ამოღების პირობებს. ფლობის პერიოდში მონაწილეებს აქვთ აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემის და დივიდენდების მიღების უფლება.

აქციების გადაცემა და ასევე, შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2028 წლის მარტამდე; ხოლო რეზერვი აღირიცხება მოკორესპონდენტო მხარეს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. აქციებზე დაფუძნებული გადასახადის რეზერვის (აღირიცხება კაპიტალში) ამორტიზაცია ხდება აქციებზე დაფუძნებული ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში). გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეფინანსირების განაკვეთი.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში, საიტი და ბუღალტრული და სხვა საოპერაციო პროგრამები (8-10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და არ გააჩნია კონტროლი. მნიშვნელოვანი გავლენას როგორც წესი თან ახლავს მეკავშირე საწარმოს წილის 20-50%-ის ფლობა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში დაბანდებულ ინვესტიციებს კომპანია აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული კომპანიის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. კომპანიის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. მიღებული დივიდენდებით მცირდება ინვესტიციის ოდენობა მეკავშირე საწარმოში.

თუ კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, კომპანია წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც კომპანიის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ კომპანიის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მოგება-ზარალი, ელიმინირებულია ინვესტორის წილის პროპორციულად მეკავშირე საწარმოში.

ინვესტიციის მიმართ გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება ინვესტიციის ამოსაღები თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების მეშვეობით. გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება და უქმდება იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ ცვლილებას ამოსაღები თანხის განსაზღვრის შეფასებებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და

გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც კომპანია მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,678,354	6,736,144
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	5,152,301	3,105,320
სხვა ფინანსური აქტივები	806,615	3,380,879
სხვა ვალდებულებები	1,896,739	3,304,302
საიჯარო ვალდებულებები	179,997	208,921

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები**

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება. უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებებსა და შესაბამის ხელმძღვანელობაზე.

კომპანიის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და ასევე იქნება რეგულირებასთან თანხვედრაში. რისკები ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესიტრალეზად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	სხვა ვალუტები	2024
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	670,816	6,445,110	549,584	728	12,116	7,678,354
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	5,152,301	-	-	-	-	5,152,301
სხვა ფინანსური აქტივები	467,313	319,783	5,692	12,979	848	806,615
სულ ფინანსური აქტივები	6,290,430	6,764,893	555,276	13,707	12,964	13,637,270
ფინანსური ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები	1,846,461	50,278	-	-	-	1,896,739
საიჯარო ვალდებულება	179,997	-	-	-	-	179,997
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,026,458	50,278	-	-	-	2,076,736
ღია სავალუტო პოზიცია	4,263,972	6,714,615	555,276	13,707	12,964	

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	სხვა ვალუტები	2023
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	4,572,653	1,755,994	279,865	127,255	377	6,736,144
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	3,105,320	-	-	-	-	3,105,320
სხვა ფინანსური აქტივები	109,851	2,118,607	22,122	1,129,637	662	3,380,879
სულ ფინანსური აქტივები	7,787,824	3,874,601	301,987	1,256,892	1,039	13,222,343
ფინანსური ვალდებულებები						
სხვა ვალდებულებები	1,675,514	-	1,628,788	-	-	3,304,302
საიჯარო ვალდებულება	208,921	-	-	-	-	208,921
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,884,435	-	1,628,788	-	-	3,513,223
ღია სავალუტო პოზიცია	5,903,389	3,874,601	(1,326,801)	1,256,892	1,039	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

2024	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფუნტი + 20%	ლარი/ფუნტი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/ (ზარალი)	1,342,923	(1,342,923)	111,055	(111,055)	2,741	(2,741)
2023	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ბრიტანული ფუნტის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფუნტი + 20%	ლარი/ფუნტი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/ (ზარალი)	774,920	(774,920)	(265,360)	265,360	251,378	(251,378)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები, გარდა საიჯარო ვალდებულებებისა, რომლის შესახებ ინფორმაციაც შეგიძლიათ იხილოთ მე-12 შენიშვნაში.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფას 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას აქვს მოკლევადიანი ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების, ასევე სხვა მოკლევადიანი ინვესტიციებისა და კლიენტების მიმართ არსებული სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	670,815	494,408
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	1,221,232	6,575
ფულადი სახსრები საბროკერო პლატფორმაზე	5,786,307	2,156,970
მოკლევადიანი დეპოზიტი	-	4,078,191
	7,678,354	6,736,144

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-5 შენიშვნაში.

კლიენტების მოზარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენდა 150,782,816 ლარსა და 60,068,122 ლარს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. მოცემულ მოზარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და არ არის აღრიცხული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში.

7. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის განთავსებული ჰქონდა ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე არსებული პროცენტია 10.2%. დეპოზიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანხა 2024 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 5,152,301 ლარს.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის განთავსებული ჰქონდა ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში 3 თვეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე არსებული პროცენტია 11%. დეპოზიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 3,105,320 ლარს.

8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ	56,437	1,208,060
სხვა მოთხოვნები კლიენტებისგან	491,587	418,590
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	258,591	1,754,229
არაფინანსური აქტივები		
სხვადასხვა მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	132,743	212,496
სხვა	5,121	5,927
	944,479	3,599,302

9. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე უნდა გადაიხადოს. აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის საგადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს დანეტებულად. კომპანიას აქვს საგადასახადო აქტივი 3,523 ლარის და 51,197 ლარის ოდენობით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	1,017,639	1,168,462
სხვა ცვლილებები მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივებში	(79,311)	(79,206)
ინვესტიციის გაუფასურების ხარჯი	(39,697)	-
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი წლის შედეგში	140,192	(71,617)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,038,823	1,017,639

ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოებზე ინფორმაცია:

დასახელება	დაარსების ქვეყანა ძირითადი საქმიანობის ადგილი	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილი
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	საქართველო	17.33%	17.33%
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	საქართველო	28.41%	28.41%
სს "კავკასიურესტრი"	საქართველო	10.03%	10.03%
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	საქართველო	26.49%	26.49%

მეკავშირე საწარმოების ძირითადი საქმიანობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	ძირითადი საქმიანობა
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.
სს "კავკასიურესტრი"	კომპანია საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც ოფისში, ასევე უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება და ა.შ.) დარეგისტრირებას.
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"	ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით.

შპს „თიბისი კაპიტალმა“ 2024 წელს დაკარგა მნიშვნელოვანი გავლენა სს „კავკასიურესტრზე“. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურებულია სს „კავკასიურესტრის“ ინვესტიციის წილი და კომპანია არ წარადგენს მეკავშირე საწარმოს 2024 წლის შედეგს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპო ზიტარი"
2024 წლის 31 დეკემბერი			
მოკლევადიანი აქტივები	352,329	296,057	612,709
გრძელვადიანი აქტივები	222,960	1,925,865	840,137
მოკლევადიანი ვალდებულებები	49,105	98,956	152,353
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
წმინდა აქტივები	526,184	2,122,966	1,300,493
კომპანიის წილი წმინდა აქტივებში	91,188	603,135	344,500
2024 წლის 31 დეკემბრისთვის			
შემოსავლები	516,813	382,736	1,251,376
ხარჯები	(376,397)	(398,979)	(796,590)
მოგება/(ზარალი)	140,416	(16,243)	454,786
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპო ზიტარისგან" მიღებული დივიდენდები	50,091	249,308	-
აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	-	-	299,399

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	სს "თბილისის საფონდო ბირჟა"	სს "კავკასიურეესტრი"	სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპო ზიტარი"
2023 წლის 31 დეკემბერი				
მოკლევადიანი აქტივები	175,299	313,791	252,460	350,692
გრძელვადიანი აქტივები	225,802	1,870,338	224,409	905,057
მოკლევადიანი ვალდებულებები	15,333	44,920	81,090	110,643
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-
წმინდა აქტივები	385,768	2,139,209	395,779	1,145,106
კომპანიის წილი წმინდა აქტივებში	66,854	607,749	39,697	303,339

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

შემოსავლები	386,679	263,030	236,741	833,308
ხარჯები	(328,280)	(617,159)	(127,436)	(803,462)
მოგება/(ზარალი)	58,399	(354,129)	109,305	29,846

სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარისგან"	50,000	249,005	-	-
მიღებული დივიდენდები აქციონერებისთვის	-	-	-	299,005
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-

მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის მოიცავს ერთ კალენდარულ წელს ანუ პერიოდს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში*	საიტი	საოპერაციო პროგრამები	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	168,346	417,695	369,914	955,955
შემოსვლა	165,745	-	9,819	175,564
მოძრაობა	(77,282)	77,282	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	256,809	494,977	379,733	1,131,519
შემოსვლა	134,250	-	820	135,070
მოძრაობა	(47,000)	47,000	-	-
გაუფასურება	(125,169)	-	-	(125,169)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218,890	541,977	380,553	1,141,420
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(66,465)	(48,761)	(115,226)
ამორტიზაცია	-	(57,951)	(47,519)	(105,470)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(124,416)	(96,280)	(220,696)
ამორტიზაცია	-	(62,138)	(46,684)	(108,822)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(186,554)	(142,964)	(329,518)
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	256,809	370,561	283,453	910,823
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218,890	355,423	237,589	811,902

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

* არამატერიალური აქტივები მომზადების პროცესში წარმოადგენს ვებ-გვერდი investing.tbccapital.ge -ის გაუმჯობესების მახასიათებლებს, როგორცაა:

- ანგარიშის გახსნის პროცესის ცვლილება და რედიზაინი
- რეგულაციებთან შესაბამისობის კუთხით სისტემის მოდულების განახლება

ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული აქტივის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 241,401 ლარის არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი, რომლის შესრულების შედეგადაც კომპანია არამატერიალურ აქტივად აღიარებს საოპერაციო პროგრამას.

12. იჯარები

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში. საოფისე ფართი არის ფიქსირებული თანხის მქონე და წარმოდგენილია ლარში. იჯარის ვადა არის ერთი წლის მქონე გაგრძელების უფლებით. კომპანია ფიქრობს, რომ გამოიყენებს ვადის გაგრძელების უფლებას და იჯარის ვადას განსაზღვრავს ხუთი წლით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ოფისი
1 იანვარი 2023	62,609
მოდIFIკაცია	193,262
ამორტიზაცია	(50,088)
31 დეკემბერი 2023	205,783
ამორტიზაცია	(39,947)
31 დეკემბერი 2024	165,836

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	ოფისი
1 იანვარი 2023	76,725
მოდIFIკაცია	193,262
პროცენტის ხარჯი	6,134
იჯარის გადახდები	(67,200)
31 დეკემბერი 2023	208,921
პროცენტის ხარჯი	28,025
იჯარის გადახდები	(56,949)
31 დეკემბერი 2024	179,997

საიჯარო გადასახდელები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

2024 წლის 31 დეკემბერი	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
საიჯარო ვალდებულებები	14,237	42,712	56,949	128,136	-	242,034

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

12. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო გადასახდელები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

2023 წლის 31 დეკემბერი	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
საიჯარო ვალდებულებები	14,237	42,712	56,949	170,847	14,237	298,982

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	%	31 დეკემბერი 2024	%	31 დეკემბერი 2023
სს „თიბისი ბანკი“	100%	1,838,295	100%	1,838,295
	100%	1,838,295	100%	1,838,295

14. აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი

2023 წლის იანვარში შპს „თიბისი კაპიტალმა“ დაამტკიცა ანაზღაურების ახალი სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ცვლადი ანაზღაურება შედგება შედეგზე აქციების სახით გაცემული წლიური პრემიებისგან („წლიური პრემია“). ცვლადი ანაზღაურება უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს (KPI-ები), რომლებიც, შეიძლება ყოველწლიურად შეიცვალოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს მისი გადახდა, როდესაც აკმაყოფილებს KPI-ებს.

წლიური პრემია გაიცემა TBC BANK GROUP PLC-ის აქციების სახით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წლიურ პრემიებს იღებს მთლიანად აქციების სახით და იგი არ მოიცავს ფულად კომპონენტს. წლიური პრემიის შესრულების KPI-ები განისაზღვრება ყოველი წლის დასაწყისში.

2024 წლის განმავლობაში სქემაში ჩართული იყო 2 პიროვნება, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ სქემაში ჩართულია 1 პიროვნება. 2024 წლის სქემაში ცვლილებები გამოიწვია მმართველი დირექტორის ცვლილებამ.

აქციაზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2022	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	343,814
31 დეკემბერი 2023	343,814
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი	12,126
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ფარგლებში თანამშრომლებზე აქციების გადაცემის საგადასახადო შედეგი	(82,252)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის განაწილება მშობელი საწარმოს მიერ	(189,952)
31 დეკემბერი 2024	83,736

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

14. აქციაზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი (გაგრძელება)

აქციაზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი რაოდენობრივად შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები არ გადაცემულა პერიოდის დასაწყისში	7,730	-
გამოყოფილი აქციების რაოდენობა	-	7,730
გამოყოფილი აქციების მოსალოდნელი რაოდენობის შეფასების ცვლილება	(2,143)	-
ძველ პერიოდში გადაცემული აქციების რაოდენობის ცვლილება ფაქტობრივად გადაცემული აქციის ფასზე, სავალუტო კურსზე და KPI-ების შესრულებაზე დაყრდნობით	(1,140)	-
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები გადაცემულია	(2,803)	-
აქციების რაოდენობა, რომლებზეც უფლებები არ გადაცემულა პერიოდის ბოლოს	1,644	7,730

უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის წლიური პრემიების გაცემა ექვემდებარება ფლობის პერიოდს და უწყვეტ დასაქმებას 3 წლის განმავლობაში. წლიური პრემია ექვემდებარება ანაზღაურების შემცირების და გადახდილი თანხის უკან ამოღების პირობებს. ფლობის პერიოდში მონაწილეებს აქვთ აქციონერთა კრებაზე ხმის მიცემის და დივიდენდების მიღების უფლება, თუმცა მათი გასხვისება ან დაგირავება შეზღუდულია.

აქციების გადაცემა და ასევე, შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გრძელდება 2028 წლის მარტამდე; ხოლო რეზერვი აღირიცხება მოკორესპონდენტო მხარეს.

ყოველი დარიცხვა ხდება დისკონტირებული ღირებულებით. აქციებზე დაფუძნებული გადასახადის რეზერვის (აღირიცხება კაპიტალში) ამორტიზაცია ხდება აქციებზე დაფუძნებული ხარჯის დარიცხვით (შესულია თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯებში). გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეფინანსირების განაკვეთი.

წილობრივი ინსტრუმენტის გაცემის სანაცვლოდ თანამშრომლისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია ხარჯის სახით ღირებულებით 12,126 ლარი.

2024 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით გამოყოფილი აქციების სამართლიანი ღირებულების ოდენობა არის 197,831 ათასი ლარი. არსებული პრემიების სისტემის საგადასახადო ნაწილი აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების საფუძველზე.

15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თანამშრომელთათვის გადასახდელი ბონუსები და კომპენსაციები	1,491,257	1,626,247
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	1,628,788
საკონტრაქტო ვალდებულებები	119,735	83,655
სხვა ვალდებულებები	405,482	49,267
	2,016,474	3,387,957

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
საკომისიო ბონდების განთავსებიდან	5,731,478	5,258,624
საკომისიო საბროკერო საქმიანობიდან	4,843,270	3,227,193
საშუამავლო და ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება	1,741,146	3,169,267
სხვა საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება	222,686	140,662
სხვა	5,477	158,750
	12,544,057	11,954,496

17. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასები	(3,545,178)	(2,621,747)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(1,652,974)	(1,846,777)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	(12,126)	(343,814)
	(5,210,278)	(4,812,338)

18. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
მარკეტინგის ხარჯი	(1,030,354)	(567,422)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯები	(879,762)	(314,305)
საკომისიო ხარჯები	(533,298)	(351,019)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(301,179)	(48,942)
დოუ ჯონსის გამოცემის გამოწერა	(125,547)	(120,870)
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(125,169)	-
კლიენტების საბროკერო ანგარიშებზე ზარალის კომპენსაცია	(54,682)	(294,441)
სხვა ხარჯები	(356,967)	(378,582)
	(3,406,958)	(2,075,581)

19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ გადაწყვიტა უკეთესი წარდგენის მიზნისთვის, პლატფორმისა და საინფორმაციო ბაზების სარგებლობის ხარჯი ცალკე გამოეყო სხვა ხარჯებისგან.

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2023 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 რეკლასიფიკაციის შემდეგ
სხვა ხარჯები	(4,030,265)	1,954,684	(2,075,581)
პლატფორმისა და საინფორმაციო ბაზების სარგებლობის ხარჯი	-	(1,954,684)	1,954,684

20. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

კომპანია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

21. პოტენციური ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 1,384,350 ლარი.

მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს რეკონსილაციის მოთხოვნას, ხოლო აქტივების გამიჯვნის კუთხით, მოთხოვნების უმეტესი ნაწილი კმაყოფილდება. სრულად დაკმაყოფილებაზე მუშაობის პროცესში, კომპანიას მუდმივი კომუნიკაცია აქვს ეროვნულ ბანკთან, შეთანხმებულია სამოქმედო გეგმა, რაზეც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოდგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ურთიერთობის ტიპი		დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები
ფული და ფულის ექვივალენტები	დამფუძნებელი	1,330,688	4,579,098
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	დამფუძნებელი	5,152,301	3,105,320
სხვა აქტივები	საბოლოო ბენეფიციარი	-	1,118,596
სხვა აქტივები	დამფუძნებელი	56,437	89,464
სხვა ვალდებულებები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	72,000	87,450
საიჯარო ვალდებულებები	დამფუძნებელი	179,997	208,921

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

		2024	2023
ურთიერთობის ტიპი		დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
ამონაგები			
სს „თიბისი ლიზინგი“	სხვა დაკავშირებული მხარე	112,235	1,152,134
TBC Bank Group PLC	საბოლოო დამფუძნებელი	3,849,183	2,935,237
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	606,234	602,578
	სს „თიბისი ბანკის“	15,470	16,571
ბუცბრიკიძე ვახტანგი	გენერალური დირექტორი		
სს „თიბისი დაზღვევა“	სხვა დაკავშირებული მხარე	26,049	15,542
ჩაჩანიძე მერი	დირექტორი	28,658	4,687
სს „თიბისი უზბეკეთი“	სხვა დაკავშირებული მხარე	450,202	-
სხვა ხარჯები			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	(70,132)	-
საპროცენტო შემოსავალი			
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	1,725,668	651,119

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება 2024 და 2023 წელს შეადგენდა 841,637 ლარსა და 751,968 ლარს, შესაბამისად.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვალში კომპანიაში დაინიშნა ახალი მმართველი დირექტორი ბატონი ოთარ შარიქაძე.